შპს,, მოდილიონი”

MODILIONI

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა №125ა-ში (ს/კ 01.14.02.025.244) საცხოვრებელი კომპლექსის ,,ბლოკი - 2,,-ის პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით

შპს “მოდილიონი“-ს დირექტორი: ზ .კაპანაძე

ექსპერტი: დ. ტაბატაძე

თბილისი 2024წ.

სამშენებლო ობიექტების
კომპიუტერული ტექნოლოგიებით
პროექტირების საინჟინრო ცენტრი
შპს მოდილიონი
ს/კ 439411245

MODILIONI

ENGINEERING CENTER OF
COMPUTER AIDED
DESIGN
MODILIONI LTD
I/C 439411245

23.12.2024 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა №125ა-ში (ს/კ 01.14.02.025.244) საცხოვრებელი კომპლექსის ,,ბლოკი - 2,,-ის პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით

ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძს ქუჩა №125ა-ში (ს/კ01.14.02.025.244) ასაშენებელი საცხოვრებელი კომპლექსის ,,**ბლოკი - 2**,,-ის არქიტექტურულ პროექტში შეტანილი ცვლილებები და ამ ცვლილებების გათვალისწინებით შენობის სიხისტის, სიმტკიცისა და მდგრადობის პირობების შეფასება ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად.

დამკვეთის მიერ საექსპერტიზოდ წარმოდგენილი იქნა შემდეგი მასალები:

1. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ელექტრონული ვერსია, dwg, Pdf და doc ფაილები), რომელიც დამუშავებული იქნა **შპს ,,გეოტექსერვისის,,**-ს ინჟინერ-გეოლოგების მიერ 2019 წელს.
2. ასაშენებელი შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ელექტრონული ვერსია (pln და pdf ფაილები);
3. შპს **"ალფა პროჯექტ ჯორჯია "**-ს თანამშრომლების მიერ დამუშავებული შენობის მონოლითური რკინაბეტონის მზიდ კონსტრუქციათა ტექნიკური გადაწყვეტები. მათ შორის, საძირკვლის კონსტრუქციები, სვეტების, კედლების, დიაფრაგმების, კიბეების და სართულშუა გადახურვების კონსტრუქციათა სამონტაჟო სქემები და მათი კვანძები, აგრეთვე კონსტრუქციების საყალიბე და ბეტონის მზიდი ელემენტების დაარმირებისათვის საჭირო საშემსრულებლო ნახაზები, მათი შემაერთებელი კვანძების გადაწყვეტის ტექნიკური დოკუმენტაცია.
4. მშენებარე შენობის კორეტირებული კომპიუტერული საანგარიშო მოდელების ელექტრონული ვერსია (lir ფაილი).

კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში შეტანილი ცვლილებების აღწერა:

+3.28 ნიშნულზე „დ-გ" ღერძებს შორის ,,1,, ღერძის მიმდებარედ გაუქმდა კიბის უჯრედისთვის გამოყოფილი შახტა.

კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში შეტანილი ცვლილების მიხედვით შენობის კომპიუტერულ საანგარიშო მოდელსა და კონსტრუქციულ ნახაზებში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები; გაანგარიშებით მიღებული შედეგების მიხედვით შენობა აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ მდგრადობის მოთხოვნებს.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კონსტრუქციულ პროექტსა და საანგარიშო მოდელს გავლილი აქვს საექსპერტო შეფასება, რომლის მიხედვითაც შენობის სიხისტის, სიმკიცის და მდგრადობის პირობა დაკმაყოფილებულია.

დასკვნა:

არქიტექტურულ პროექტში შეტანილი ცვლილება არსებითად არ ცვლის შენობის მზიდ კონსტრუქციულ სქემას და შეიძლება ჩაითვალოს როგორც უმნიშვნელო ცვლილება, რომლებიც ფაქტიურად გავლენას არ ახდენს შენობების სიხისტისა და მდგრადობის პირობებზე.

შპს "მოდილიონი"-ს დირექტორი: ზ .კაპანაძე

ექსპერტი: დ. ტაბატაძე